

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28

16/08/2016 წელი

ქ. ბათუმი

საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში
ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის №4 განკარგულებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკში შემდეგი იქნას შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

ა) გრაფაში „არაუგვიანეს 50-ე დღისა“ (19 აგვისტო პარასკევი) მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებული იქნეს.

ბ) გრაფაში „არაუგვიანეს 46-ე დღისა“ (23 აგვისტო სამშაბათი) მე-2 პუნქტი ამოღებული იქნეს.

გ) გრაფის „არაუგვიანეს 37-ე დღისა“ (1 სექტემბერი ხუთშაბათი) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის გრაფა „არაუადრეს 36-ე დღისა“ (2 სექტემბერი პარასკევი) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

არა უადრეს 36-ე დღისა	2 სექტემბერი პარასკევი	საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლით დადგენილი წესით (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 119, პუნქტი პირველი), (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 45 (საწყისი ვადა).
-----------------------	------------------------	--

დ) გრაფაში „არაუგვიანეს 30-ე დღე“ (8 სექტემბერი ხუთშაბათი) მე-2, მე-3 და-4 პუნქტებში არსებული ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არჩევნებამდე 30 დღით ადრე განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომერი; (საქართველოს საარჩევნო კოდექსი 119 -ე მუხლი ს პირველი პუნქტი), (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 45 -ე მუხლი) (ბოლო ვადა)

3. უსკოსთვის პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ პარტიული სიის და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენის ბოლო დღე. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. თუ კანდიდატი იმავდროულად წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს 2 ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას; (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, 39-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები)

4. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას“. (აჭარის ა.რ კანონი უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, მე- 40 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტები)

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი